



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 146

2022 წლის 2 აგვისტოს

ქ. თბილისი

2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის
გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების
დამტკიცების შესახებ


„გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ზ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 2 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათის (N865279) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (შემდგომში კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2 -ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს თანადაფინანსების ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - მირანდა თედეშვილი;
13. კონკურსის კონსულტანტად იურიდიულ საკითხებში განისაზღვროს ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - თამარ აზარიაშვილი, ხოლო პროექტის ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტანტებად განისაზღვროს სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტები - ანა კობერიძე და სალომე ოდიშვილი.
14. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
15. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია



**გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების
კონკურსის პროგრამა და პირობები**

1. ზოგადი დებულებები

1. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (შემდგომში – კონკურსი) ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებითა და ფონდის გენერალური დირექტორის ამ ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

2. **კონკურსის მიზანია** შეარჩიოს და დააფინანსოს ორიგინალური კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს: ახალი ცოდნის შექმნას ან არსებული ცოდნის ახლებურად გამოყენებას ალიარებული, კონკრეტული, პრობლემების ან პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად; ახალი ან გაუმჯობესებული ტექნოლოგიის, მეთოდოლოგიის, პროდუქტის, მომსახურების, პროცესის ან გადაწყვეტის გამოყენებითობის დადგენას მცირე მასშტაბის პროტოტიპის ტექნოლოგიური/მეთოდოლოგიური განვითარების, ლაბორატორიულ ან სიმულაციურ გარემოში ექსპერიმენტაციისა და ვალიდაციის, ან რეალურ გარემოში პილოტირების ან/და გამოყენების დემონსტრირების გზით. კვლევა უნდა იყოს ექსპერიმენტულ განვითარებაზე, ტექნოლოგიური ტრანსფერის მზაობის დონის ამაღლებაზე, კომერციალიზაციაზე ან ინდუსტრიალიზაციაზე ორიენტირებული. კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულმა კვლევებმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ჭკვიანი სპეციალიზაციის გაძლიერებასა და მეცნიერების ეფექტურ ჩართვას ქვეყნის ეკონომიკაში.

2. კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სამეცნიერო დარგებსა და ქვედარგებში, რომელიც წარმოდგენილია ამ ბრძანების №9 დანართში.

3. კონკურსში წარმოდგენილი პროექტი უნდა პასუხობდეს კონკურსის მიზნებს, გააჩნდეს ტექნოლოგიური განვითარებისა და გადაცემის პოტენციალი და ითვალისწინებდეს ინტელექტუალური საკუთრების შექმნისა და მართვის, ტექნოლოგიური ტრანსფერისა და მეწარმეობის უნარების განვითარებას.

4. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება 3 ტიპის გამოყენებითი კვლევები:

ა) კონცეფციის დამტკიცება;

ბ) პილოტირება;

გ) დანერგვითი კვლევები.